



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება

G E O R G I A

CHAIRMAN OF THE ASSEMBLY OF MESTIA MUNICIPALITY

ORDER



ბრძანება:ბ135. 135242211

თარიღი:08/08/2024

**მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის პირველი მოადგილის ზაურ ჩართოლანის მივლინების
შესახებ**

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის და „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის #211 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. მივლინებულ იქნას, ქ. **თბილისში** შპს „თეგეტა მოტორს“-ის სერვის ცენტრში, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ავტომანქანის ტექნიკური მომსახურების უზრუნველსაყოფად, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ზაურ ჩართოლანი 3 (სამი) დღის ვადით ა/წლის 12 აგვისტოდან.

2. განისაზღვროს, ავტომობილ „LEXUS“-ზე, **სახ. ნომრით: SK-077-SS** მესტია-თბილისი-მესტია მგზავრობისთვის საჭირო ბენზინი 250 ლიტრით.

3. დაევალოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურს უზრუნველყოს 3 (სამი) დღის მივლინების ხარჯის ანაზღაურება.

4. დაევალოს მესტიის მერიის შესყიდვების სამსახურს უზრუნველყოს საჭირო საწვავის შესყიდვა.

5. მიღებული ბრძანების შესახებ ეცნობოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურსა და მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურს.

6. ბრძანება ამოქმედდეს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გაცნობისთანავე;

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180-ე მუხლის პირველი ნაწილის და „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გაცნობის დღიდან ერთი თვის

ვადაში, ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N-12).

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

